

შპს „სიგმა-გეო“

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შპს “სიგმა-გეო”

ფინანსური ანგარიშგება

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
მოგება/(ზარალისა) და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	3
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	4
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	5
1 ზოგადი ინფორმაცია.....	5
2 ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა	5
3 ძირითადი საშუალებები	9
4 ფული და ფულის ექვივალენტები	10
5 სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები.....	10
6 მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	10
7 საგადასახადო აქტივები.....	10
8 მიღებული სესხები	11
9 სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები.....	11
10 საერთო მოგება / (ზარალი).....	11
11 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.....	12
12 წმინდა ფინანსური შემოსავალი / (ხარჯი).....	12
13 მოგების გადასახადი	12
14 მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ	13

შპს "სიგმა-გეო"
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	79,401	91,170
სულ გრძელვადიანი აქტივები		79,401	91,170
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	4	1,047,169	13,332
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	5	146,733	313,277
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	6	9,862,299	12,673,576
საგდასახადო აქტივები	7	2,021,824	2,107,984
სულ მოკლევადიანი აქტივები		13,078,025	15,108,169
მთლიანი აქტივები		13,157,426	15,199,339
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		12,553,147	12,553,147
გაუნაწილებელი მოგება		591,233	(3,199,577)
მთლიანი კაპიტალი		13,144,380	9,353,570
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	8	-	5,844,090
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	5,844,090
მოკლევადიანი ვალდებულებები		13,046	1,679
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	13,046	1,679
მთლიანი ვალდებულებები		13,046	5,845,769
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები		13,157,426	15,199,339

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 30 სექტემბერს.

სამირ სალიევი (C01538522; 01092002848)

დირექტორი

შპს "სიგმა-გეო"
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	79,401	91,170
		79,401	91,170
სულ გრძელვადიანი აქტივები			
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	4	1,047,169	13,332
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	5	146,733	313,277
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	6	9,862,299	12,673,576
საგდასახადო აქტივები	7	2,021,824	2,107,984
		13,078,025	15,108,169
სულ მოკლევადიანი აქტივები		13,157,426	15,199,339
მთლიანი აქტივები			
კაპიტალი		12,553,147	12,553,147
საწესდებო კაპიტალი		591,233	(3,199,577)
გაუნაწილებელი მოგება		13,144,380	9,353,570
მთლიანი კაპიტალი			
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები		-	5,844,090
მიღებული სესხები	8	-	5,844,090
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		13,046	1,679
მოკლევადიანი ვალდებულებები		13,046	1,679
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	13,046	5,845,769
მთლიანი ვალდებულებები		13,157,426	15,199,339
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები			

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 30 სექტემბერს.



სამირ სალიევი (C01538522; 01092002848)

დირექტორი



შპს "სიგმა-გეო"
 მოგება/(ზარალისა) და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

მოგება/(ზარალისა) და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2021	2020
ამონაგები		7,127,196	3,060,661
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(2,847,714)	(1,454,936)
საერთო მოგება / (ზარალი)	10	4,279,482	1,605,725
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	11	(455,008)	(229,939)
წმინდა ფინანსური შემოსავალი / (ხარჯი)	12	(33,664)	(2,696)
ზარალი მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		3,790,810	1,373,090
მოგების გადასახადის ხარჯი	13	-	-
მოგება/(ზარალი)		3,790,810	1,373,090
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		3,790,810	1,373,090

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 30 სექტემბერს.

სამირ სალიევი (C01538522; 01092002848)
 დირექტორი

შპს "სიგმა-გეო"
 მოგება/(ზარალისა) და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

მოგება/(ზარალისა) და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2021	2020
ამონაგები		7,127,196	3,060,661
რეალიზებული პროდუქციის		(2,847,714)	(1,454,936)
თვითღირებულება			
საერთო მოგება / (ზარალი)	10	4,279,482	1,605,725
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	11	(455,008)	(229,939)
წმინდა ფინანსური შემოსავალი / (ხარჯი)	12	(33,664)	(2,696)
ზარალი მოგების გადასახადის ხარჯამდე		3,790,810	1,373,090
განგრძობითი ოპერაციებიდან			
მოგების გადასახადის ხარჯი	13	-	-
მოგება/(ზარალი)		3,790,810	1,373,090
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		3,790,810	1,373,090

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 30 სექტემბერს.



სამირ სალიძე (C01538522; 01092002848)
 დირექტორი



შპს "სიგმა-გეო"
 კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2020 წლის 1 იანვარს	12,553,147	(4,572,667)	7,980,480
წლის მოგება / (ზარალი)	-	1,373,090	1,373,090
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	1,373,090	1,373,090
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	12,553,147	(3,199,577)	9,353,570
წლის მოგება / (ზარალი)	-	3,790,810	3,790,810
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	3,790,810	3,790,810
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს	12,553,147	591,233	13,144,380

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 30 სექტემბერს.

სამირ სალიევი (C01538522; 01092002848)
 დირექტორი

შპს "სიგმა-გეო"

მოგება/(ზარალისა) და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2020 წლის 1 იანვარს	12,553,147	(4,572,667)	7,980,480
წლის მოგება / (ზარალი)	-	1,373,090	1,373,090
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	1,373,090	1,373,090
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	12,553,147	(3,199,577)	9,353,570
წლის მოგება / (ზარალი)	-	3,790,810	3,790,810
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	3,790,810	3,790,810
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს	12,553,147	591,233	13,144,380

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 30 სექტემბერს.



სამირ სალიევი (C01538522; 01092002848)

დირექტორ



ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1 ზოგადი ინფორმაცია

შპს „სიგმა-გეო“ წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაარსდა 2010 წლის 30 დეკემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ილია ჭავჭავაძის გამზირი, N5, სართული 4.

2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება BEST INVEST, აზერბაიჯანი (1401769871).

2021 წლის მდგომარეობით კომპანიის დასაქმებულთა საშუალო რაოდენობაა - 14 (2020 - 14).

2 ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძვლები

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო სანარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (შემდგომში “მსს ფასს”), რაც ასახავს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკას მსს ფასს საფუძველზე.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება კომპანიის პირველი წლიური ფინანსური ანგარიშგებაა, რომელიც შესაბამისობაშია მსს ფასს-თან და მოიცავს შესადარის ინფორმაციას. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტმა გამოიყენა მსს ფასს, ფაქტებისა და გარემოებების საუკეთესო გამოცდილება.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს გამოყენებული მნიშვნელოვანი საბუღალტრო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია ქვემოთ არის წარმოდგენილი. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულად იქნა (იქნება) გამოყენებული ყველა პერიოდის მიმართ, თუკი სხვაგვარად არ არის განსაზღვრული.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მცირე და საშუალო სანარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად მოითხოვს გარკვეული კრიტიკული საბუღალტრო შეფასებების გამოყენებას. იგი ასევე მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან მსჯელობას კომპანიის საბუღალტრო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. საკითხები, რომლებშიც ასახულია ფინანსური ანგარიშგებისთვის მნიშვნელოვანი შეფასებები და დაშვებები და რომლებიც საჭიროებენ მაღალი დონის მსჯელობას და კომპლექსურ მიდგომებს, ამავე (მე-2) განმარტებით შენიშვნაში.

შეფასების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერებზე დაყრდნობით.

საქმიანობის უწყვეტობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. მენეჯმენტისთვის არ არის ცნობილი რაიმე განუსაზღვრელობა, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას კომპანიის საქმიანობის უწყვეტობას. მენეჯმენტს სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისთვის.

სააღრიცხვო პოლიტიკა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება ფუნქციონალურ ვალუტაში, რომლის გადაფასება ხდება გარიგების დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ლარში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) მიერ გამოცხადებული და ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით.

უცხოური ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების გადაფასების შედეგად მიღებული მოგება და ზარალი აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, სავალუტო ოპერაციებიდან მიღებული წმინდა შემოსულობა/დანაკარგის ნაწილში.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული „სებ“ გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2021 წლის 31 დეკემბერს	3.0976	3.5040
გაცვლითი კურსი 2020 წლის 31 დეკემბერს	3.2766	4.0233

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. საწყისი აღიარების შემდგომ, თვითღირებულებიდან გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების შედეგად აღრიცხული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

აქტივის ცვეთა დაირიცხება იმ თარიღიდან, როდესაც ხდება აქტივის ექსპლუატაციაში გაშვება. ცვეთის დაირიცხვა ხდება წრფივი მეთოდით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები:

	წელი
ნაგებობები	25
მანქანა-დანადგარები	5
ავეჯი და სხვა	5

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გაუფასურების შეფასება ხდება მაშინ, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების ამოღება შესაძლოა ვერ მოხერხდეს. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში. შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები აღირიცხება წარმოშობისას და მათი ჩართვა ხდება სხვა საოპერაციო ხარჯებში თუ ისინი არ ექვემდებარება კაპიტალიზაციას. სასარგებლო მომსახურების ვადა მიმოიხილება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი (რომელიც გამოითვლება აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აღირიცხება მოგებაში ან ზარალში სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალში/ხარჯში იმ პერიოდისთვის, რომლის განმავლობაშიც მოხდა აქტივის აღიარების შეწყვეტა.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები შედგება სალაროში ნაღდი ფულის ნაშთისგან და რეზიდენტ ბანკებში არსებული ფულის ნაშთისგან. ფული და ფულის ექვივალენტები ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით. მარაგების ფასდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

კომპანიის მფლობელობაში არსებული სასაქონლო-მატერიალური მარაგები ძირითადად შედგება გასაყიდად გამიზნული ბინებისგან.

სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით და მოიცავს სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეძენაზე გაწეულ დანახარჯებს, გადამუშავების დანახარჯებს და ამჟამინდელ მდგომარეობამდე სასაქონლო-მატერიალური მარაგების მისაყვანად გაწეულ ხარჯებს. ნებისმიერი გაუფასურების ზარალის გამოვლენის მიზნით, ყოველწლიურად ხდება არალიკვიდურ მარაგების იდენტიფიკაცია, მოძველებული ერთეულების არსებობის შემთხვევაში, ჩამოიწერება სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურების რეზერვის ანგარიშის მეშვეობით.

ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას თავდაპირველად აღიარებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას, კომპანია ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს გარიგების ფასით. კომპანია ფინანსურ აქტივებს აღიარებს ანგარიშსწორების თარიღით, როდესაც კომპანია მას მიიღებს და მისი აღიარების შეწყვეტა ხდება

იმ დღეს, როდესაც კომპანია მას გაასხვისებს. ფინანსური აქტივების შემდგომი აღრიცხვა დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებს გაუფასურებაზე. კომპანია აფასებს ხომ არ დადგა თავდაპირველი აღიარების შემდეგ ერთი ან მეტი გარემოება, რომელსაც გავლენა ექნებოდა ფინანსური აქტივის (აქტივთა ჯგუფის) თავდაპირველად გამოთვლილ სამომავლო ფულად ნაკადებზე.

კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც სახელშეკრულებო უფლებები აქტივისგან წარმომდგარ ფულად ნაკადებზე იწურება, ან ეს უფლება ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცემა მეორე პირს ყველანაირ რისკთან და საკუთრების უფლებასთან ერთად. გადაცემული ფინანსური აქტივიდან წარმოქმნილი ნებისმიერი სარგებელი კომპანიის მიერ აღიარდება როგორც ცალკეული აქტივი ან ვალდებულება.

ფინანსური ვალდებულება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ამოიწურება (დაიფარება). სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება-ზარალში.

საგადასახადო ვალდებულებები/აქტივები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის, მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს დანეტებულიად.

მოგების გადასახადი

საქართველოში კომპანიების წლიური მოგება, ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და სადაზღვევო კომპანიების გარდა, არ იბეგრება 2017 წლის 1 იანვრიდან. მოგების გადასახადით იბეგრება იმ აქციონერებს შორის დივიდენდის სახით განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან საქართველოს არარეზიდენტები, წმინდა განაწილების თანხიდან 15/85 ოდენობით. მოგების გადასახადი, დივიდენდების გადახდის შედეგად, აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით დივიდენდის გამოცხადების პერიოდში.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით შენატანის განხორციელების მომენტში, როგორც კომპანიაში დამფუძნებლის შენატანი.

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხორციელდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის შემოდინება კომპანიაში, ამასთან შემოსავლის შეფასება შესაძლებელია რეალურად, მიუხედავად იმისა როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავალი საქონლის ან მომსახურების რეალიზაციიდან აღიარდება მაშინ როდესაც: კომპანიამ მიაწოდა მყიდველს საქონელი ან გაუნია

მომსახურება და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი მყიდველზე გადავიდა, კომპანიას აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი. შემოსავლების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწვევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

3 ძირითადი საშუალებები

თვითღირებულება	ნაგებობები	მანქანა-დანადგარები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სულ
1 იანვარი 2020	75,603	76,441	11,443	163,487
შეძენა	-	-	1,340	1,340
გასვლა	-	-	-	-
31 დეკემბერი 2020	75,603	76,441	12,783	164,827
შეძენა	-	-	255	255
გასვლა	-	-	-	-
31 დეკემბერი 2021	75,603	76,441	13,038	165,082

დაგროვილი ცვეთა

1 იანვარი 2020	(16,129)	(36,907)	(7,922)	(60,958)
ცვეთის ხარჯი	(3,024)	(7,661)	(2,014)	(12,699)
გასვლა	-	-	-	-
31 დეკემბერი 2020	(19,153)	(44,568)	(9,936)	(73,657)
ცვეთის ხარჯი	(3,024)	(7,661)	(1,339)	(12,024)
გასვლა	-	-	-	-
31 დეკემბერი 2021	(22,177)	(52,229)	(11,275)	(85,681)
31 დეკემბერი 2019	59,474	39,534	3,521	102,529
31 დეკემბერი 2020	56,450	31,873	2,847	91,170
31 დეკემბერი 2021	53,426	24,212	1,763	79,401

შპს “სიგმა-გეო”
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია არ ფლობს სრულად ამორტიზირებულ ძირითად საშუალებებს. 2020 წელს კომპანიამ განახორცილა ინვენტარიზაცია და ფინანსური ანგარიშის კორექტირება.

ძირითადი საშუალებები არ არის გამოყენებული მიღებული სესხების უზრუნველსაყოფად.

4 ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ექვივალენტები შედგება ქართულ ბანკებში მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებული თანხებისგან და სალაროში არსებული თანხებისაგან.

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	141	3,365.00
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	365,556	9,967.00
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	681,472	0.00
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	1,047,169	13,332

5 სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	142,471	91,861
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	25	10
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	4,237	221,406
სულ და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	146,733	313,277

6 მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
გასაყიდი ფართები	9,862,214	12,673,577
სულ მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	9,862,214	12,673,577

7 საგადასახადო აქტივები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას აქვს 2,021,824 ლარის ოდენობის ზედმეტობა საგადასახადო ბარათზე (2020 წლის 31 დეკემბერი: 2,107,984 ლარი; 2019 წლის 31 დეკემბერი:

შპს "სიგმა-გეო"
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

2,145,908 ლარი; 2018 წლის 31 დეკემბერი: 2,910,653 ლარი; 2018 წლის 1 იანვარი: 2,961,505 ლარი)

8 მიღებული სესხები

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
გრძელვადიანი სესხები ეროვნულ ვალუტაში	-	(4,093,688)
გრძელვადიანი სესხები უცხოურ ვალუტაში	-	-
გადასახდელი პროცენტები ეროვნულ ვალუტაში	-	(1,750,402)
გადასახდელი პროცენტები უცხოურ ვალუტაში	-	-
სულ მიღებული სესხები	-	(5,844,090)

2021 წლის მდგომარეობით კომპანიამ სრულად დაფარა სასესხო ვალდებულებები ეროვნულ ვალუტაში (2020: 5,844,090 ლარი).

9 სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	(13,046)	(1,679)
მიღებული ავანსები	-	-
გადასახდელი ხელფასები	-	-
სულ სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	(13,046)	(1,679)

10 საერთო მოგება / (ზარალი)

	2021	2020
ფართის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი	7,033,415	2,978,538
სხვა მომსახურების შემოსავალი	93,781	82,123
სულ ამონაგები	7,127,196	3,060,661
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(2,847,713)	(1,454,936)

შპს "სიგმა-გეო"
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

11 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2021	2020
საკონსულტაციო ხარჯები	(18,395)	(19,383)
შრომის ანაზღაურება	(220,405)	(159,697)
საშუამავლო მომსახურება	(135,011)	-
რემონტი	(34,157)	(9,345)
კომუნალური ხარჯები	(16,074)	(10,971)
სხვა საგადასახადო ხარჯი	(2,475)	(2,507)
ცვეთა და ამორტიზაცია	(12,024)	(12,699)
საპენსიო ანარიცხები	(4,594)	(1,259)
ბანკის საკომისიო	(2,511)	(1,624)
სამეურნეო ხარჯი	(923)	(882)
კომუნიკაციის ხარჯები	(645)	(630)
საერთო სარგებლობის ფართების მოვლა	(694)	(1,125)
საოფისე ხარჯი	(234)	(276)
საკანცელარიო ხარჯი	(161)	(124)
სხვა საერთო ხარჯი	(6,705)	(9,462)
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(455,008)	(229,984)

12 წმინდა ფინანსური შემოსავალი / (ხარჯი)

	2021	2020
საპროცენტო შემოსავლები	-	45
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული ნამეტი	10,643	3,266
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული ზარალი	(44,307)	(5,962)
სულ წმინდა ფინანსური შემოსავალი / (ხარჯი)	(33,664)	(2,651)

13 მოგების გადასახადი

საქართველოში კომპანიების წლიური მოგება, ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და სადაზღვევო კომპანიების გარდა, არ იბეგრება 2017 წლის 1 იანვრიდან. მოგების გადასახადით იბეგრება იმ აქციონერებს შორის დივიდენდის სახით განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან საქართველოს არარეზიდენტები, წმინდა განაწილების თანხიდან 15/85 ოდენობით. მოგების გადასახადი, დივიდენდების გადახდის შედეგად, აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით დივიდენდის გამოცხადების პერიოდში.

2021 წლის განმავლობაში კომპანიის მოგების გადასახადის ხარჯმა შეადგინა 0 ლარი (2020: 0 ლარი)

14 მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ

2022 წელს, დამფუძნებელმა, კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეამცირა.

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 30 სექტემბერს.

2020 წლის 12 მარტს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ (WHO) კორონავირუსი პანდემიად გამოაცხადა. კოვიდ-19 პანდემიამ მნიშვნელოვნად შეაფერხა ეკონომიკური პროცესები, მათ შორის გავლენა იქონია კომპანიის საოპერაციო საქმიანობაზეც, თუმცა მენეჯმენტის შეფასებით, აღნიშნული გავლენა არარსებითია და კომპანიის უნარს, გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, საფრთხე არ ემუქრება.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია მნიშვნელოვან მოვლენებს.